სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 1 21 0000073094

08/02/2021

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 24 დეკემბრის №1.1/141 ბრძანების – "2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ", საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების, მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის, რომლებმაც სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მობილობის მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის შედეგად მოიპოვეს სტუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება, განცხადების (დანართი 1) და თანდართული დოკუმენტაციის (დანართი 2) სტუ-ის დოქტორანტურის დეპარტამენტის ელ. ფოსტაზე – doctorate@gtu.ge ელექტრონულად ატვირთვის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 12 თებერვლიდან 15 თებერვლის 17:00 საათამდე;
2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ის დოქტორანტურის დეპარტამენტის უფროსს, დ. ბიბილეიშვილს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ის კანცელარიის უფროსს, ე. ოხანაშვილს;

1. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების ადმინისტრაციას მოტივირებული დასკვნების მომზადება (დანართი 3) და შედეგების მობილობის მსურველთათვის გაცნობა არაუგვიანეს 2021 წლის 17 თებერვლის 12 საათისა;
2. ფაკულტეტის მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 4) დოქტორანტურის დეპარტამენტში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2021 წლის 18 თებერვლის 13 საათისა;
3. 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ერთიანი ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვა უზრუნველყოს დოქტორანტურის დეპარტამენტმა არაუგვიანეს 2021 წლის 19 თებერვლისა;
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს, ზ.გასიტაშვილს;
5. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



რექტორის მოადგილე
ზურაბ გასიტაშვილი